



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5.

5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,

E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 აპრილი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 22

შპს „ენგურჰესთან“ დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია შპს „ენგურჰესის“ ქონების დახლოებით 60-70 %-ი. 2021 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა ენგურჰესიდან ქონების გადასახადის სახით მიიღო 1,46 მილიონი ლარი, რაც წარმოადგენს 146,0 მილიონი ლარის ნარჩენი ღირებულების 1%-ს. რეალურად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ენგურჰესის ქონების ნარჩენი ღირებულება შეადგენს გაცილებით მეტს. გათვალისწინებით ამისა, ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის N9 დადგენილების 36-ე მუხლის შესაბამისად,

1. შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- 1) ლევან მეზონია-საკრებულოს წევრი
- 2) მამუკა მიქავა-საკრებულოს წევრი
- 3) გონერ კვარაცხელია-საკრებულოს წევრი
- 4) ბესიკ ფარცვანია-საკრებულოს წევრი
- 5) სოლომონ სარია-საკრებულოს წევრი
- 6) ზაზა უბილავა-საკრებულოს წევრი
- 7) ბაჩანა ქანთარია-საკრებულოს წევრი

- 8) თემურ ქარდავა-საკრებულოს წევრი
- 9) რომან კვარაცხელია-საკრებულოს წევრი
- 10) დათო მესხია-საკრებულოს წევრი
- 11) გიორგი ხარჩილავა-მოწვევით
- 12) თეა სარია-მოწვევით
- 13) გონერ სალია-მოწვევით
- 14) გიორგი თვალთვაძე-მოწვევით
- 15) დათო ჭრიკიშვილი-მოწვევით
- 16) თამარ მებონია-საკრებულოს მოწვეული სპეციალისტი
- 17) ხვიჩა მებონია-მოწვევით
- 18) ლევან ლუკავა-მოწვევით
- 19) გულბათ ქარდავა-მოწვევით
- 20) ზურაბ სამუშია-მოწვევით
- 21) გოგი ფიფია-მოწვევით
- 22) მელიორ ზარქუა-მოწვევით
- 23) შახი ლატარია-მოწვევით
- 24) ზაურ გვასალია-მოწვევით
- 25) ჯულიეტა როგავა-მოწვევით

2. დაევალოს დროებით სამუშაო ჯგუფს:

- ა) შპს „ენგურჰესის“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ქონების რეალური (საბაზრო ფასთან მიახლოებული) ღირებულების დადგენა;
- ბ) შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

3. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ვადა განისაზღვროს 3 თვით;

4. განკარგულება ძალაში შედის გაცნობისთანავე;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე

კორნელი სალია

